ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №37

21 თებერვალი 2023 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები-ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე,აკაკი ალადაშვილი, ნინო წულაძე.

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება. საკრ.№12-0320451-03 14/02/23;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. №11-01230392094 საკრ.№15-032303941-03 08/02/23; №11-01230513306 საკრ.№15-0323051160-03 20/02/23

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" №12-0323047116-03 16/02/23
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს" (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ჰორვატსის" (ს/ნ: 405349154) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე . საკრ.№12-032304050-03 09/02/23.

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „გრანდ თაუერს" (ს/ნ: 405269891) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „გრანდ თაუერის" (ს/ნ: 405269891) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-03230376-03 06/02/23.

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,განსაზღვრული , მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრიბატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ.საკრ.№12-032304049-03 09/02/23

7. ქალაქ თბილისში, გრაფ შულენბურგის ქუჩა N3ა-ში მდებარე 262 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.287) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ. საკრ.№12-03230473-03 16/02/23

8. ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 166 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.13.399.005) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.საკრ.№12-03230473-03 16/02/23

9. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.01.156.002) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე". საკრ.№12-032304746-03 16/02/23

10. ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის II ჩიხი, N10-ის მიმდებარედ არსებული 9231 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „CBD Development"-ისთვის (ს/ნ:404382921) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032304748-03 16/02/23

11. ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონის კორპუს N33- ში მდებარე 143.46 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012.01.514) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. საკრ.№12-032304049-03 09/02/23;

12. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩა, ჩიხი II, N6-ში მდებარე 73.96 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.017.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. საკრ.№12-032304049-03 09/02/23;

13. ქალაქ თბილისში, ქებურიას დასახლებაში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-03230375-03 06/02/23.

14. *ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "*
საკრ.№12-032304856-03 17/02/23.

15. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-7 კვარტლის კორპუს N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.024.009.01.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. საკრ.№12-032304856-03 17/02/23.

16. ქალაქ თბილისში, საქართვლოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034.01.044) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " საკრ.№12-032304856-03 17/02/23.

17. ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N4გ-ში (საკადასტრო კოდები: N01.12.07.005.013.01.634 და N01.12.07.005.013.01.629) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". საკრ.№12-032304856-03 17/02/23.

18. ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N12ა-ში (საკადასტრო კოდი:N01.19.19.005.057.03.036ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". საკრ.№12-032304856-03 17/02/23.

19. ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.139.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " საკრ.№12-032304037-03 09/02/23

20. ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.003.01.01.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. საკრ.№12-032304037-03 09/02/23

21. ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.019.01.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". საკრ.№12-032304037-03 09/02/23

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2023 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (137 794,2 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები 5 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 142 794,2 ათასი ლარით და შეადგენს 1 774 926,8 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 9 161,9 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 630,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 199,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) - 300,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 6 000,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 12 000,0 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 537,5 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) - 87,2 ათასი ლარით, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) - 738,3 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 2 257,9 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) - 153,2 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 133,0 ათასი ლარით, უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) - 92,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 930,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 2 960,6 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 1 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 2 323,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 1 500,0 ათასი ლარით,

კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 2 380,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 1 600,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 700,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები -16 052,1 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 23 698,4 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) -14000,0 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები – 600,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნებები – 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) - 1 931,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 800,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 1 000,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 923,9 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 400,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 18 653,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 350,0 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითრების ხელშეწყობა (კოდი 08 05) – 500,0 ათასი ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) ქვეპროგრამის ასიგნებები – 652,4 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 12 483,4 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 210,9 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 250,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 200,0 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნებები - 2 014,6 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) - 157,3 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 142,8 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 200,0 ათასი ლარით.

ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი პროგრამები: საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) – 500,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი (კოდი 10 25) – 3 250,0 ათასი ლარი.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 403,2 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 109,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) - 120,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 100,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 120.0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 75,1 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნებები - 1 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 167,8 ათასი ლარით, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) - 120,0 ათასი ლარით, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) პროგრამის ასიგნებები - 1 285,1 ათასი ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 6 ერთეულით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4065 ერთეულით.

გარდა ამისა, ბიუჯეტის მარეგულირებელ ნორმებს დაემატა 30-ე მუხლი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციებისა და დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსების შესახებ.

ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების შეკითხვაზე, გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, თუ რამ გამოიწვია 2022 წლის ბოლოს 137 794,2 ათასი ლარის ნაშთის არსებობა. მან აღნიშნა, რომ 137 794,2 ათასი ლარიდან 104978,1 ათასი ლარი არის აუთვისებელი, რაზედაც მან დაწვრილებით ისაუბრა, ხოლო დანარჩენი არის შემოსავლების გადაჭარბებით შესრულება.

მომხრე-6 , თავი შეკავა -ანა გოგოლაძემ , საბა ბუაძემ ,ნინო წულაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი - ლევან მიქავა.

ლევან მიქავას მოხსენებით, საბურთალოს რაიონის გამგეობის წერილობითო მოთხოვნის საფუძველზე, შესრულებული სამუსაოების დასაფინანსებლად, „რაიონის გზების მოვლა-შეკეთების „ პროგრამის (პროგ/კოდი 01 01 13) პირველი კვარტლის გეგმას ემატება 400 000 ლარი, ხოლო „კეთილმწყობის ღონისძიებების" პროგრამაში (პროგ/კოდი 02 09 15) პირველ კვარტალს ემატება ჯამში 136 000 ლარი. „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები"(პროგ/კოდი 06 02 16 12) მარტის თვის ქირების გასაცემად, პირველ კვარტალს ემატება 19 000 ლარი. თანხების გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან.

ისნის რაიონის გამგეობის მოთხოვნის შესაბამისად, „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში (პროგ/კოდი: 01 01 14) პირველ კვარტალს ემატება 340 000 ლარი. თანხა გადმოაქვთ მესამე კვარტლიდან.

თბილისის მასშტაბით გზების ორმოული და პერიოდული შეკეთებისათვის, პირველ კვარტალში საკმარისი თანხები არ არის პროგრამაში „გზების მშენებლობა და აღდგენა" (პროგ/კოდი 01 01 01).

ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით აღნიშნული პროგრამის პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 1 000 000 ლარით, მეოთხე კვარტლის შესაბამისად შემცირებით.

ასევე წარმოდგენილია შესათანხმებლად, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მოთხოვნა, პროგრამის „სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია" (პროგ/კოდი: 08 06 03) პირველი კვარტლის 300 000 ათასი ლარით გაზრდის შესახებ. თანხა გადმოდის მესამე კვარტლიდან.

საერთო ჯამში პირველი კვარტლის გადასახდელები იზედება 2 192 000 ლარით.

მომხრე-6, თავი შეკავა -საბა ბუაძემ, ანა გოგოლაძემ და ნინო წულაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, საბურთალოს და ისნის რაიონული გამგეობები ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის **სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს:„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თანხმობისათვის წარმოდგენილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N23.187.204 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირთათვის, ამავე დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონებების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზება, ამავე განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად. კერძოდ, იმ პირებს (11 პირს) რომელთაც ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონების გამგეობების მიერ სხვადასხვა წლებში მიღებული გადაწყვეტილებებით, გამოეყოთ ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ 01.19.39.009.070)/კორპუსი N34, (ს/კ 01.19.39.009.007)/კორპუსი N35 (ს/კ 01.19.39.009.034)/კორპუსი N36 (ს/კ 01.19.39.009.088) და კორპუსი N37 (ს/კ 01.19.39.009.092)-ში (ე.წ. - წითელი აგურების კორპუსები) აშენებული/ასაშენებელი საცხოვრებელი ფართები, საკუთრებაში გადაეცემათ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართები, წითელი აგურების კორპუსებში მდებარე ბინების სანაცვლოდ, იმ პირობით, რომ ისინი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების, ასევე, არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე მათთვის მიკუთვნებულ ფართებზე მოთხოვნის უფლებას უსასყიდლოდ დაუთმობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. ასევე, უარს იტყვიან ხსენებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ამასთანავე, უარს იტყვიან ხსენებული გადაწყვეტილებებით მინიჭებული უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/ სარჩელზე. აღსანიშნავია, რომ გადასაცემი ფართები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში მიღებული აქვს სხვადასხვა კომპანიების მიერ, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების გამო მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების სანაცვლოდ.

მომხრე-6, თავი შეკავა -საბა ბუაძემ,ანა გოგოლაძემ და ნინო წულაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს" (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ჰორვატსის" (ს/ნ: 405349154) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ: 405349154) - ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ N01.14.01.008.045 საკადასტრო კოდით (დღეის მდგომარეობით - ს/კ: N01.14.01.008.092; ს/კ: N01.14.01.008.093;

ს/კ: N01.14.01.008.094; ს/კ: N01.14.01.008.095; ს/კ: N01.14.01.008.096; ს/კ: N01.14.01.008.097 და ს/კ: N01.14.01.008.098) რეგისტრირებული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2021 წლის 24 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს , ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატსს" (ს/კ: 405349154) შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულება , რომლის თანახმადაც ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლეებმა, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტის თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, კერძოდ, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების უზრუნველსაყოფად, შპს „ჰორვატსმა" სააგენტოს სასარგებლოდ წარადგინა ჯამში 1 000 000 ლარის ოდენობის გამოუხმობადი და უპირობო საბანკო გარანტია. ამავე ხელშეკრულების 6.1.2. პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ შპს „ჰორვატსი" დაარღვევდა ხელშეკრულების 6.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადას, მას დაეკისრებოდა სააგენტოსთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება საბანკო გარანტიის ჯამური ოდენობის 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შესაბამისი სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება წარმოადგენს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, მათთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო, შპს „ჰორვატსისთვის" დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება 1000 ლარით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ირაკლი თავარტქილაძემ განმარტა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ჰორვატსს" (ს/კ: 405349154) სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და სრული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით გათვალისწინებული საანგარიშო ფართობის 20%-ის მშენებლობის ნებართვა უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2021 წლის 1 ოქტომბრისა, ხოლო დარჩენილი სამშენებლო ფართის ნებართვ(ებ)ი - არაუგვიანეს 2022 წლის 1 აპრილისა. ვინაიდან, შპს „ჰორვატსის" (ს/კ: 405349154) მხრიდან არ შესრულებულა აღნიშნული ვალდებულებები, 2022 წლის 25 ოქტომბრის №10/01222982061-61 განცხადებებით, სააგენტოს მომართა ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნით.

შპს „ჰორვატსის" (ს/კ: 405349154) განმარტებით, ვალდებულებების შესრულება შეფერხდა რიგი ობიექტური მიზეზების გამო, კერძოდ:

COVID პანდემიისგან კორონავირუსით გამოწვეული გართულებების შედეგად 2021 წლის აგვისტოში ისრაელში გარდაიცვალა შპს „ჰორვატსის" (ს/კ: 405349154) დირექტორი და ერთპიროვნული წილის მფლობელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჰორვატსი" (ს/კ: 405349154) დარჩა შესაბამისი წარმომადგენლობისა და უფლებამოსილების მქონე პირის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში დროულად დაიწყო სამკვიდროს დროებითი მმართველის დასანიშნად შესაბამისი პროცედურების გატარება, ისრაელში არსებული რეგულაციებისა და აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი და საკმაოდ დიდი დრო დაიკარგა შესაბამისი უფლებამოსილების დოკუმენტების მოპოვებადა და გაცემაში. წილის დროებითი მმართველისა და ახალი დირექტორის დანიშვნამდე, შპს „ჰორვატსი" (ს/კ: 405349154) ფაქტობრივად მოკლებული იყო შესაძლებლობას ეწარმოებინა საქმიანობა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ საპროექტო ტერიტორიას უკავშირდება 4-6 მეტრის სიგანის გზა, რაც ვერ უზრუნველყოფს არსებულ ტერიტორიაზე ავტომობილების მოქნილად გადაადგილებას, შესაბამისად, საჭირო გახდა ალტერნატიული მისასვლელი გზის მოძიება/მოწყობა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო არეალი წარმოადგენს რთულ რელიეფს, საჭირო გახდა ალტერნატიული გზის მარშრუტის მოძიება და აღნიშნულ ალტერნატიულ გზაზე სამართლებრივი უფლების მოპოვების მიზნით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან წარმოების დაწყება. პროცესი გაჭიანურდა 1 თვეზე მეტი ვადით.

შპს „ჰორვატსის“ (ს/კ: 405349154) განმარტებით, ვადის გაჭიანურება ასევე, გამოიწვია არქიტექტურული პროექტის კორექტირებამ და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციულ ორგანოებთან გარკვეული საკითხების შეთანხმების პროცესის დაყოვნებამ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „ჰორვატსის“ მიერ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის № 6201665 ბრძანების საფუძველზე , შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. დანარჩენ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული პროექტი შეთანხმებული არ არის. ამასთან, 2021 წლის 1-ლი ოქტომბრიდან დღემდე დარღვეულია/ირღვევა ხელშეკრულების 3.3 და 3.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვადები, ვინაიდან, არცერთ მიწის ნაკვეთზე არ არის მოპოვებული მშენებლობის ნებართვა და 2022 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით, ამავე ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტით გათვალისწინებული, შპს „ჰორვატსისასთვის“ დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 495 000 ლარს. აღნიშნული თანხა იზრდება ყოველდღიურად 1 000 ლარის ოდენობით.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, სააგენტოში წარდგენილ იქნა შპს „ჰორვატსის“ (ს/კ: 405349154) და კომპანიის - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“ (ს/ნ: 405589395)“, ერთობლივი განცხადება , რომლითაც დგინდება, რომ მათ შორის გაფორმდა მემორანდუმი. კომპანია მზად არის იკისროს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად და კეთილსინდისიერად განახორციელოს მათი შესრულება.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, მხარეებს შორის ფორმდება შეთანხმება და ხელშეკრულებაში შედის რამდენიმე ცვლილება.

წარმოდგენილი პროექტით, საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება ხელშეკრულების 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.2. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ჰორვატსის (ს/ნ: 405349154) გათავისუფლების საკითხი, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმების დღისათვის არსებული ოდენობით, იმ პირობით, რომ შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“-ს (ს/ნ: 405589395) მიერ წარმოდგენილი იქნება ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში და წესით.

მომხრე-6, თავი შეკავა -საბა ბუაძემ,ანა გოგოლაძემ და ნინო წულაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „გრანდ თაუერს“ (ს/ნ: 405269891) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „გრანდ თაუერის“ (ს/ნ: 405269891) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

